# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 125. კვირა, 8 ივნისი 1903 წ. გაზეთის № 2174.

4 მანეთი ღირს ყოველ დღიური გაზეთი ცნობის ფურცელი კვირაში ორის სურათებიანის დამატებით, 1 ივნისიდან წლის დამლევამდე.

### სიმღერა

ვიცანი, ღმერთო, სამყარო,—
ეს შენი დანაბადები,—
იმისი ავლა-დიდება
და შიგ საგძალი ნადები:
მზოჯავს, არ მათავისუფლებს
გარს შემორტყმული ბარდები;
დღეს გულსაცა სწვავს, კუჭსაცა
გუშინ ნაჭამი ქადები.
რად გვინდა, ნეტავ, სიცოცხლე,
ეს ამოდენა ამბები,
თავში სიცილი, მოლხენა,
ბოლოს ვაი და დარდები?!
განგების სათამაშოდა,
გასართობად ვართ გამხდრები;
ერთია, თუნდა ჩვენ ვიყვნეთ
და თუნდა მინდვრის თაგვები:
გავერანდება ერთხელაც
ტურფად შემკული ბაღები,
ჩამოინგრევა დარბაზი
და სრა-სახლების თაღები;
ცრემლს დაუწყებენ ფრქვევასა
დღეს მოლხინარი ბაღდები.
ამას ბჭობს, ვისც ხიბარიათ
განგების ბჭეთა სადები.
ასეა, ვიცით კარგადა,
ამ წუთისოფლის თვისება.
ვერაფერს ვიზამთ ომითა,
არას გვიშველის გინება,
ქრთამი და ხვეწნა-მუდარა
ხმალ-ზარბაზნების ღირება,
დიდი ჭკვა, გამოცდილება,
ქველობის გამოჩინება.
განგების გასართობნი ვართ
ჩვენის ჭირით და ლხინითა,
ამის მეტს ვერ თუ შესძლებდა
ღმერთმა ინება იმითა—
დაგვღალოს, ოფლი გვადინოს,
მერე გაგვაძღოს ძილითა,
რომ ბოლოს სიტკბო ვიგემოთ
გამსჭვალულებმა ჭირითა.
ალბათ ასე სჯობს, ჩვენ ვცდებით,
ვერ ვსაზღვრავთ ჩვენის ტვინითა
იმას, რაც წარმოსდინდება
სიწმინდის ჭურჭლის პირითა!

ვაჟა-ფშაველა.

# ტყის მცველი ივანე

(ამბავი მესხ-ჯავახთა ცხოვრებიდან)

(დასასრული*)

ეს ფუტუროებივით შეჯგუფული ბავშვები დრო-გამოშვებით შეიშმუშნებოდნენ, ახლო და ახლო სცდილობდნენ მიჯკროდნენ მამას, მხოლოდ დრო-გამოშვებით წამოიძახებდნენ ხოლმე: „მამილო, მცივა“-ო და ამით, თითქოს ფილოს თავის მოვალეობას აგონებდნენ. ეს და ბევრი ამგვარი სხვა და სხვა, მაგრამ ერთმანეთთან გადაბმულ-გადაკავშირებული მოგონებანი, თითქოს ერთი მეორეს ეჯიბრებოდა, ვინ უფრო



ტკბილი ძილი.—სურათი ბანოელოსისა.

გადაჭარბებით დათუთქავდა ფილოს, რომელსაც აქეთ-იქიდან მოკეცილ ვაჟებისთვის გადედო ხელები, ოდნავ ნიკაპი დეეყრდო კალთაში მძინარე გოგონასთვის და მისცემოდა ამ კეკ-

*) იხილე დამატება № 123.

ლუც ქალივით ცვალებად ფიქრებს. ოდაში რომ ცოტა მეტი სინათლე ყოფილიყო, ამ დროს ფილოს სახეს ბევრ სხვა და სხვა ცვლილებას შენიშნავდით. წარმოიდგინეთ, ღიმილიც კი ოდნავ გაიელვებდა ხოლმე, თუმცა მალევე ჰქრებოდა ხშირ ულვაშებში. ფილომ ფიქრით დაიწყო ხტუნვა გავლილ ცხოვრების ერთის ჟამიდან მეორემდე და, რასაკვირველია, კარგა ხან შეჩერდა იმ ხანაზედ, როცა ის, ჯერ ახალგაზრდა, უდარდელ-უზრუნველი სიცოცხლით სავსე, შეძლებულ მამის ერთადერთი შვილი იყო. როცა ის კვირა-უქმე დღეებში გამოეწყობოდა წითელ. გულ პერანგით ჩოხა-ახალუხში, აჭრელებულ წინდა-პაიჭში ჩაკეცილ მაუდის შარვლით, ახლად აღინდლებულ ულვაშების ბოლოებს აიწკიპავდა და შავი მთის არწივივით დასტრიალებდა ჩამოჭერის ჩითის კაბებში ათას-გვარად აჭრელებულ გოგოებს. გოგოებიც ვითომ ფილოსთან მორცხობდნენ და ზოგჯერ მანდილით პირსაც იფარვიდნენ, მაგრამ ფილოს წამოსადეგი ტანი და ეშხიანი პირი-სახე მაინც იზიდავდა თავისკენ. ფილოც იმათ რჩევაში იყო. მერმე... მერე ფილო მთელი დღეობით ატარებდა სოფელს მოშორებულ წყაროზედ, რომ თეკლესთვის თვალი მოეკრა. ამას მოჰყვა თეკლესთან შეუღლება, მამის სიკვდილი და ოჯახის თან-და-თან უკან დაწევა. და, კიდევ ვინ უწყის, ოცნება ფილოს საითკენ გააქანებდა, რომ სახედარს არ გამოეჩინა თავისი მძლავრი, შესაზარი solo, რომელიც ორიოდე ტრაგიკულ მუხლის შემდეგ კრუსუნით დაათავა. რაღა თქმა უნდა, სახედრის solo-მ ჩათვლემილთ თვალები დააჭყეტინა და ფილოსაც, გაუფანტა

თეკლემ ფეშტამლით თვალები მოიწმინდა, ერთი კიდევ ლონივრად გადაარწია აკვანი და ჩქარის ნაბიჯით გატრიალდა ქმრის ბრძანების ასასრულებლად.

ვიდრე თეკლე დაბრუნდებოდა, ფილომ ტყეში წასასვლელად მზადება დაიწყო, მაგრამ ამასთან რაღაც აღელვება და მოუსვენრობა დაეტყო. იმისი ისრედაც ულიმარი სახე უფრო მოღუშულიყო, ხელები ოდნავ უცახცახებდა, თვალები უაზროთ უბეცრიალდებოდა, ხან კაი ხანს აჩერდებოდა ერთ სა-განს. ვიდრე ცივას და საბელს გამოსძებნიდა, ორჯელ-სამ-ჯერ წამოჰკრა ფეხი და კოკიდან წყალი წამოაქცია; ორჯელ-სამ-ჯერ სულ უმიზეზოდ შევიდა ბოსელში; გარედ გაიხედა, ბო-ლოს ბუხართან შეჩერდა და ბავშვებს ნაღვლიანად ცქერა და-უწყო. ის იყო თვალები ამღვრევას უპირებდა, რომ თეკლე-მაც კარი შემოაღო და ქმარს გადასცა კარგად გალე[illegible] ცული.

ფილომ ცული წელში გაირჭო, იღლიაში ამოიდო სო-მინის*) ნაჭერი და ცივით გაუდგა ოშორის ტყისკენ.

ვიდრე სიცივე კბენას დაუწყებდა, ფილო მიაბიჯებდა ნე-ლის, გაუბედავის ნაბიჯით, მაგრამ როცა დაატყო, რომ სხეუ-ლი თან-და-თან უბუუვდებოდა, ნაბიჯს მოუმატა და ბუქნით გაუდგა გზას. უფრო აწუხებდა ცხვირ-პირი და ტანსა და მუხ-ლებზედ აქა იქ ჯუჯუტანებიდან მონაჩენი სხეული, რომლებ-ზედაც, როგორც იმას ეგონა, ბლუჯათ შეკრული ნემსე-ბი სჩხვლეტდა. დრო გამოშვებით შეჩერდებოდა, დაუწყებდა ამ ადგილებს სრესას და კარგად რომ გააწითლებდა, უმალ



განთიადის მოლოდინში.—სურათი შვარცისა.

რა ტკბილ-მწარე ოცნებანი, ჩაახედა აწმყო მდგომარეობაში. იმან გოგო-ბიჭები წყნარად შემოუსხა გაცივებულ კერას, ერთი ნაღვლიანად ამოიოხრა და წამოდგა ზეზედ.

— შენ ეი, ჩაირბინე საჩქაროდ იორდანიანთსა და სთხოვე საღამომდე ცული გვათხოვეთ-თქო. იქნება უარი გითხრან— ახლად ნაყიდი ცული აქვთ—უთხარ, ვაჰლა-ბიჰლა, ჩემი თავით შევინახავ და საღამოზედ უეჭველად დაგიბრუნებ-თქო. ჰა, გატრიალდი, უცულოდ არ დამენახო!

გაუდგებოდა გზას. ფილოს სიცივე სიმკაცრეს, ცოტა არ იყოს, ავიწყებდა ის გარემოება, რომ მალ-მალ ეძლეოდა ფიქრებს: აი, ის ეხლა თავის ოდაშია, აივანში შეშით დატვირთული ცივა უდგას, ახოხოლავებულ შეშებს გუგუნი გააქვთ ბუხარში, რომელსაც ლოყებ აწითლებული მისი შვილები შემოსხდომიან; თვალები სიხარულით უბრწყინავენ, სახე უცინით და ტანის

*) მოზრდილი პური.

ცემას და კიჟინა-მხიარულობას დასასრული არა აქვს. ავადმყოფ, ბებერ დედლასაც კი გამოფიტული ფეხები ტახტზედ გადმოუკიდნია, დახავსილ ძვლებს შორი-ახლო ითბობს და ბავშვების ალტაცება იმის უკბილო, დანაოჭებულ ჩაღრმავებულ პირს ღიმილსა ჰგვრის. ფილო?... ფილოც თეკლეს ახლო მისჯდომია ბუხარს და მოგუზგუზე ცეცხლის ალს ხან ერთ სიცივისაგან დაბჟუებულ გვერდს უშვერს და ხან მეორეს... მაგრამ აგერ კიდევ დაჰბერა კორიანტელმა ც თან გაიტანა ფილოს დროებით სულიერად მასაზრდოებელი ფიქრებიც.

—ბრ!... ბრრ!..—დაიზმუვლა კბილების კაკუნით ფილომ, შეიშმუშნა და ძუნძულს მოუმატა. აგერ მიუახლოვდა, სულ ცოტაღა დარჩა ტყემდის, მაგრამ, თითქო განგებ, მოესმა დამშეულ მგლების შესაზარი ღმუილი და, მიუხედავად იმისა, რომ ფილო უშიშარ კაცად ითვლებოდა, თმები ყალხს აუდგა, და თითონაც ერთ ადგილს შეჩერდა. გაფითრებულმა ბევრი იხედა გარშემო; იყო ისეთი წამიც, როცა უკან გამობრუნებაც კი დააპირა, მაგრამ მოაგონდა ბუხართან მუშტის ოდენად მოკუნტული შვილები, პირჯვარი გამოისახა, ცული მოიმარჯვა და ტყისკენ გაბედვით გადადგა ნაბიჯი.

გაიარა ძალარები და შევიდა ტყეში, სადაც სამარისებური სიჩუმე იყო. ამ მოშხამულ ამინდს ტყისთვისაც კი წაერთმია ბუნებისაგან უხვად მინიჭებული სიტურფე და სიდიადე. რომ აღარა ჩანდარა! ლარივით სწორნი, კვლავ თვალ-წარმტაცნი, ნაძვის და ფიჭვის ხეები ჯავახურ პატარძალივით თეთრ პირბადის ქვეშ დამალულიყვნენ. თაობითვე ქვემოდან თეთრად. შევერცხლილი სოჭის ფართო, დაბასმული ფოთლები და ტოტები, სხვებზე მეტად თოვლით დატვირთულნი წყნარად და უმადურად ირყეოდნენ. აღარც ფიჭვნარის მაცოცხლებელი სუნი ისმოდა. ჰაჰანებაც კი არ იყო იმ ყბედ ფრთოსანთა, რომელთა ქებით და ერთგულობის ფიცით სხვა დროს ტყეს თავი მობეზრებული ჰქონდა. მაგრამ ყოველთვის დინჯი, გულ ჩათხრობილი ტყე ფრინველთა ასეთ უმადურობით და გულგრილობით სულაც არა ჯავრობდა, რადგან კარგად იცოდა, ქვეყანაზედ ყოველივე ისეა მოწყობილი, რომ „სხვისა ჭირი—ღობეს ჩხირია“ და თავდადებული მეგობრები მხოლოდ ლხინში ჩნდებიან... თუ დრო გამოშვებით მოჰკრავდით ყურს ტყის რაღაც გამოურკვეველს, მდინარისებურ მუნჯურ გუგუნს და შეამჩნევდით ოდნავ ნარ-ნარ რყევას,—ეგ სულ გალაზლანდარავებულ ქარის ბრალი იყო, რომელიც ხან ერთის გვერდიდან შეულიტინებდა, ხან მეორედგან ურღვევდა ტყეს მყუდროება-მოსვენებას, დროებით ძილს. მხოლოდ საუკუნოებისაგან დაძაბუნებული, კენტად აჭვინტული ბებერი ჰლექიანი მუხა, რომლის ძირთან ცოტა თოვლი რომ გადაგექექათ ერთ ხროვა მისგან დაცვინულ, დაფქვილ ფუტუროს ნახავდით,—გულზე სკდებოდა, რომ განუშორებელ ხე-კაკუნას, ავადმყოფის ამ ერთად-ერთ მეგობარს, რომლის მუყაითი კაკუნი იშვიათ შრომისმოყვარე ტელეგრაფის მოხელეს მოგაგონებდათ, აგერ, რამდენი ხანია მისთვის თავი დაენებებინა, აღარ ჰფხანდა მუხის ნახევრად ჩამპალ გულს და არ აშორებდა სხვა და სხვა მწერს, რომელთაგანაც მოსვენება არა ჰქონდა, მუხასაც, შესჩიოდა რა



სანატომიო კაბინეტში.—ეს ხომ ჩემი საყვარელი ჯულიეტაა!—სურათი ცირგესი.

ამ დარდს უგზო-უკვლოდ მოხეტიალე ქარს, გაჰქონდა გაუთავებელი ჭრიალ-კრუსუნი...

ბევრს ეხეტიალა ფული, იქნების ნაყარ შეშას სადმე შევხვდეო, მაგრამ ამაოდ: თოვლის სქელ სუდარას ყოველივე ქვეშ მოეტანა. ბოლოს წააწყდა ახლად წაქცეულ სოჭის ხეს, რომელიც უზარ-მაზარათ გათხლარშულიყო დედა-მიწაზედ და, წაქცევის დროს, ტოტები ჩამოებლლიძა მახლობელ ხეებისათვის. ფილოს დიდხანს უნძრევლად ჰქონდა თვალი მიჩერებული ამ ხისთვის: შიშით თუ სიბრალულით, ეტყობოდა კი, რომ ხისთვის ცული ვერ მიეკარებინა. „რაც იქნება, იქნებაო!“ შესძახა მან ბოლოს, ხის ღეროს ბაწარი შემოარტყა, რომ ხმაურობა შორს არ წასულიყო და დაიწყო ცულით ტოტების ჩამორთმევა.

ჩვენი ნაცნობნი ტყის მცველნიც დიდხანს ეხეტიალნენ ტყეში; ბოლოს გავიდნენ ერთ მოტვლეპილ მწირ მინდოზედ და აქედან აპირებდნენ კიდევაც დუქნისკენ გამობრუნებას, რომ ივანემ უცბად წამოიძახა: „იესტ ნა უჟინ!..“-ო რის შემდეგაც, ფრთხილად ჩამოხტა ძირს და ცხენი ხის ტოტს გამოაბა. ამას მიჰბაძა ამხანაგმაც. შემდეგ თოფები მოიმარჯვეს და ტუჩებზე ხელის მიდებით მუნჯურად აუსხნეს ერთმანეთს, რომ წყნარად მიჰპაროდნენ მსხვერპლს. ჯერ კაცის ნაფეხურს გაჰყვნენ და რომ კარგად მიუახლოვდნენ, დაიწყეს აქეთ იქიდან მოყოლვა.

როცა ივანემ თვალი მოჰკრა და იცნო ნახევრად მოკუნტული და გალურჯებული ფილო, მხეცურმა თვალებმა სიხარულისაგან თითქმის ხტუნვა დაუწყეს. ადვილი წარმოსადგენია, რა უნდა ეგრძნო ივანეს დანახვაზე ფილოს. ცხვარმა იქნება მეტი გულადობა გამოიჩინოს მგლის დანახვაზედ და ფეხების პაკუნი მაინც დაიწყოს, ფილოს კი იმდენად აერია თავტანი, რომ სრულიად დაავიწყდა, სად იმყოფებოდა და გაბრუებული ოდნავ მიეყრდნო გაკორტნილ საჭს. ტყის მცველნი

მედიდურად მიუახლოვდნენ და ჯერ დინჯად დაუწყეს გამოკითხვა.

— როგორ, ძამიავ, ქურდი, რაზბონიკი კაცი ახლა შენა ხარ, თუ მე?—დაეკითხა ზიზღით ივანე.

— ყველაფერი მე ვარ, თქვენი ჭირიმეთ, მე! გაჭირვება მაქნევინებს, ღმერთმა ხომ უწყის!... შენი ცოლშვილის სადღეგრძელოთ, ამ ჯერად მაპატიე და შეიბრალე ჩემი ერთი ნახირი შვილები, სიცივისაგან დაბჟუებულნი ცივ ბუხართან ჰყრიან... მაჩუქე ეს ერთი ციგა შეშა და ჩემგან ერთ სამაგიერო სიტყვასაც აღარ გაიგონებ... აგრემც თავ შემოგევლები... ეს კი... თქვენ მიირთვით...—წარმოსთქვა ლუღლუღით, ნაწყვეტად ფილომ და დედისაგან გამოტანებული გროშები აკანკალებულის ხელით ივანეს გაუშვირა.

— ბიჭოს! რა უყავი შენი ყოყოჩობა და დიდ-დიდი სიტყვები, რომ ახლა სხვა შიქასტას გაიძახი?! მერე, მაგრეც რომ მოვიქცე, ეს შენი მოჭრილი ამოტოლა ხე ჩემს კისერზედ დავიწერო? ე გროშები წაიღე და შენს...—აქ ივანემ ძალიან მლაშე სიტყვები იხმარა და ამასთან კარგად მომსხო მათრახი გადასცხო ფილოს გამოწვდილ ხელს.

გროშები ძირს დაცვივდა ფილომ ხელი სიმწარისაგან იღლიაში ამოიდო. შეურაცყოფილი და გამწარებული მზად იყო ორივეს მიჰვარდნოდა და კბილით დაეგლიჯა.

— ოჰო, აქაც ჩამოჭერა გგონია, რომ ხელის შემობრუნებას მიპირებ? დუი იავო!—შესძახა ივანემ, რის შემდეგაც მისცვივდნენ ტყის მცველნი ფილოს, გაუკავეს ხელები და დაუწყეს უწყალოდ მათრახებით ცემა.

ადვილი წარმოსადგენია ამგვარის ცემით ფილოს უძისოდაც გაყინული, დალურჯებული სხეული როგორ დაისერებოდა და რა ტანჯვა-ვაებას აგრძნობინებდა. ერთი ორი შებრძოლების შემდეგ, სიმწარისაგან ჩანგა შეეკრა და რამდენიმე წუთი ხმის ამოუღებლად იკვლანჭებოდა. როცა გონს მოვიდა, იქვე ახლოს დაინახა ივანე ტყის მცველი, რომელიც, წელში წახრილი, უწმაწურ გინებით, ზომავდა თავის მიერვე სხვისთვის მიყიდულ ხეს ფილოზედ ოქმის შესადგენად. ფილომ უცბად და ანგარიშ-მიუცემლად დაღმუჭა ცული, წელში გასწორდა, ერთი კი შესძახა: „ესეც შენ, ძაღლოვო!“—და ღონივრად, ორჯელ ზედი-ზედ დასცხო ივანეს წაგრძელებულ კისერზედ. ივანე, ოდნავღა ტყავით დაკიდულ თავით ხეს გადეეკიდა და გადმონთხეულმა სისხლმა დაიწყო თოვლის წითლად ღება. ფილო კი, ჩასისხლიანებულის თვალებით, საჩქაროდ მოუბრუნდა მეორე ტყის მცველს, მაგრამ ამ დროს იგრიალა ბერდანის თოფმა, რომლის ხმაც გლოვის ზარივით რამდენჯერმე გაგორდ გამოგორდა ახლო მდებარე ატეხილ ჰალა-მთებში და განგმირულმა ფილომაც, ივანესთან ერთად, დაიწყო კვლანჭვა და ფართხალი...

— С-собака, получилъ!?—შესძახა რიჟამ, თოფის ბოლი რომ გაიბნა და ივანეს გვერდით ფილოც გაჭიმული დაინახა.

— უ...უ..უ!..—ზიზღით გმინავდა ტყე და თოვლის კალთას აფარებდა ვერაგ ადამიანის მსხვერპლს. ახლოს მყოფი, ზედ დამყურე ხეებიც სიბრალულით მწვერვალებს აქნევდნენ და, თანაგრძნობის ნიშნად, უსულოთ მდებარე გვამებს თეთრ და ბრჭყვიალა ცრემლებს უხვად აფრქვევდნენ...

გ. ახალციხელი

უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებიდან.



ქმარი. ხომ ხედავ რა კარგი ქმარი გყავს, ყურადღებასაც არ ვაქცევ წერილს, რომელსაც შენ აგრე ხარბად დასწაფებიხარ.

ცოლი. იმიტომ რომ კარგად იცი დასამალ წერილს შენთან ≠რ წავიკითხავდი.

ქმარი. სწორედ დასამალ წერილს კითხულობ ჩემთან, რომ მე ისე მეგონოს, როგორც შენ ამბობ.



კაცი. სიყვარული შეიძლება მხოლოდ იმ დრომდე, მანამ კარგად გაიცნობ ქალს.

ქალი. ჩემი აზრით კი, ვისაც ხანგრძლივი სიყვარული ჰსურს უნდა ერიდონ ერთმანეთის კარგად გაცნობას.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. ценз. Тифлисъ, 7 Іюня 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა.